# სამჭედლოში

ცეცხლმა
ქურა
გაახურა,
აშიშინებს
ცეცხლი
რკინებს:
ყველამ
ქურას
მიაშურა,
ყველა
ძმურად
დაჰყიჟინებს;
-- დაჰკათ,
დაჰკათ,
თორემ
რკინა
გაცივდა და
გაიყინა.

   -- ტაკატუკი!
დაგადუგი! -.გადავადნოთ
შრომის ურგი!

ვისაც უქმად
უყვარს ჯდომა,
ჩვენ შორის ვერ
იზოგინებს!
ვაშა, ვაშა
გარჯა-შრომას!-გაუმარჯოთ
შრომის გმირებს!
   - ტაკატუკი!
დაგადუგი! ცეცხლს შევუნთოთ

ყველა ურგი!
რეკავს
კვერი, ცეკვავს
ჰანგი,
ბაგაბუგი
ნააქვს
უროს:
გადამიტყდეს
ხელში ჩანგი,
თუ მეც
მათ არ
ვემსახურო!
- დაჰკათ!
დაჰკათ
მამაცურად
ერთსულოვნად,
მხნედ და
ძმურად! სჭექს
ქარგალი
ხმამედგარი
და პერანგით
ხვითქში
სცურავს.

- ტაკატუკი!
დაგადუგი!
ძლიერდება
ცეცხლის ბუღი!

- დაჰკათ!
დაჰკათ
გაბედულად!
დე, ჩვენი ხმა
ჰქუხდეს ძმურად!

და ქურა კი,
ქშინავს
ქურა,
მხიარულად
გრგვინავს
მერი,
ყველას
მკერდი
შეემურა,
ყველა
ძმურად
ოფლს ღვრის,
მღერის!

რეკავს
გრდემლი,
ცეკვავს
კვერი,
ნაპერწკლების
დგება მტვერი
და ოსტატიც
მკლავშიშველი
დაჰყიჟინებს:
-- მარჯვედ, ხელი!

და ამ ხმაზე,
მტკიცე ხმაზე,
კვერის ყოველ
მხნე დარტყმაზე, -საბერველი
ქშუის,
ქშინავს,
ნაპერწკლებიც
ფრინავს,
ბრწყინავს,

და იქმნება
შრომის ქება,
მუსიკა და
აღტაცება
- დაჰკათ,
ძმებო,
ძმებო,
დაჰკათ! სჭექს ქარგალი,
ფიცხი,
მალი
და ედება
ცეცხლის
ალი!
- ტაკატუკი!
დაგადუგი!
აღიგავოს
ქვეყნის ურგი!
ქშინავს
ქურა,
გრგვინავს
ჭერი,
ჟღერის,
მღერის
გრდემლზე
კვერი.

- მალე, ძმებო!
აბა, მალე!
დაჰკათ!
დაჰკათ,
გენაცვალეთ!
- ტაკატუკი!
დაგადუგი! -გავამაგროთ
ფრონტის ზურგი!

-- ეგრე, ეგრე!
ჩქარა, ჩქარა!
ხედავთ,
მზეც კი
გადიხარა!

- დაგადუგი!
ბაგაბუგი!
დაიბუგოს
ჩვენი ურგი!

ქშინავს,
გმინავს
საბერველი,
დღეც ხალისით
გაიპარა:
ჰა, მანქანაც,
სოფლის მხსნელთ, შაბაშ,
ძმებო!
ბარაქალა!

ქშინავს
ქურა,
გრგვინავს
ქერი,
ჟღერის,
მღერის
გრდემლზე
კვერი!

- მალე, ძმებო!
აბა, მალე!
დაჰკათ
დაჰკათ,
გენაცვალეთ!

--ტაკატუკი!
დაგადუგი! გავამაგროთ
ფრონტის ზურგი!

და შენც, ქურავ,
შრომის ქურავ,
დაისვენე,
დადექ,
კმარა!

აღარ ჟღერის
გრდემლზე კვერი,
საზერველიც
აღარ ქშინავს,
და დაყრუვდა
ყველაფერი,
ცეცხლმაც
ფერფლში მიიძინა,
ვალმოხდილნი,
კმაყოფილნი,
მხიარულად
მივალთ შინა!

1923 წ.